

„ორთოპედია-ტრავმატოლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „ორთოპედია-ტრავმატოლოგია“.

2. სპეციალობის შინაარსი:

„ორთოპედია-ტრავმატოლოგია“ განეკუთვნება მედიცინის დარგს, რომელიც მოიცავს საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებებსა და მექანიკურ დაზიანებებს, მათ დიაგნოსტიკასა და როგორც ქირურგიულ, ასევე კონსერვატიულ მკურნალობას. ამასთან, აღნიშნული სპეციალობა გულისხმობს როგორც პროფილაქტიკურ, ისე მკურნალობის შემდგომ სარეაბილიტაციო ღონისძიებებს.

3. ზოგადი ცოდნა:

- ა) ართროპათიები;
- ბ) შემაერთებელი ქსოვილის სისტემური დაზიანებები;
- გ) დორსოპათიები;
- დ) რბილი ქსოვილის ავადმყოფობები;
- ე) ოსტეოპათიები და ქონდროპათიები;
- ვ) ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის სხვა დაზიანებები;
- ზ) მხრის სარტყლისა და მხრის ტრავმები;
- თ) იდაყვისა და წინამხრის ტრავმები;
- ი) მაჯისა და მტევნის ტრავმები;
- კ) მენჯ-ბარძაყის სახსრისა და ბარძაყის ტრავმები;
- ლ) მუხლისა და წვივის ტრავმები;
- მ) კოჭ-წვივის სახსრისა და ტერფის ტრავმები;
- ნ) ტრავმები, რომლებიც მოიცავს სხეულის რამდენიმე მიდამოს;
- ო) ტორსის, კიდურებისა ან სხეულის რომელიმე მიდამოს ტრავმები;
- პ) დაუზუსტებელი ნაწილის ტრავმები;
- ჟ) მენჯის და ხერხემლის ტრავმები;
- რ) ქირურგიული ჩარევების გართულებები;
- ს) ძვალ-სახსროვანი სისტემის ტრავმათა შედეგები;
- ტ) მრავლობითი და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის ტრავმების შედეგები;
- უ) ძვლისა და სასახსრე ხრტილის სიმსივნეები;
- ფ) რბილ-ქსოვილოვანი სიმსივნეები.

4. დაავადებები და მდგომარეობები:

CD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
M60-M79	რბილი ქსოვილის ავადმყოფობები	მართვა
M80-M94	ოსტეოპათიები და ქონდროპათიები	მართვა
M95-M99	ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემაერთებელი ქსოვილის სხვა დაზიანებები	მართვა

S40-S49	მხრის სარტყლისა და მხრის ტრავმები	მართვა
S50-S59	იდაყვისა და წინამხრის ტრავმები	მართვა
S60-S69	მაჯისა და მტევნის ტრავმები	მართვა
S70-S79	მენჯ-ბარძაყის სახსრისა და ბარძაყის ტრავმები	მართვა
S80-S89	მუხლისა და წვივის ტრავმები	მართვა
S90-S99	კოჭ-წვივის სახსრისა და ტერფის ტრავმები	მართვა
T00-T07	ტრავმები, რომლებიც მოიცავს სხეულის რამდენიმე მიდამოს	მართვა
T08-T14	ტორსის, კიდურებისა ან სხეულის რომელიმე მიდამოს დაუზუსტებელი ნაწილის ტრავმები	მართვა
S32-S33-S34	მენჯის და ხერხემლის ტრავმები	მართვა
T80-T88	ქირურგიული და თერაპიული ჩარევების გართულებები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
T92	ზედა კიდურის ტრავმათა შედეგები	მართვა
T93	ქვედა კიდურის ტრავმების შედეგები	მართვა
T94	მრავლობითი და დაუზუსტებელი ლოკალიზაციური ტრავმების შედეგები	მართვა
C49	შემავრთებელი და რბილი ქსოვილების სხვა ტიპის ავთვისებიანი სიმსივნე	მართვა
D16	ძვლისა და სასახსრე ხრტილის კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა
D17	ცხიმოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა
D18	ნებისმიერი ლოკალიზაციის ჰემანგიომა და ლიმფანგიომა	მართვა
D21	შემავრთებელი და სხვა რბილი ქსოვილების კეთილთვისებიანი სიმსივნე და სხვა	მართვა
C40-C41	ძვლისა და სასახსრე ხრტილის ავთვისებიანი სიმსივნეები	მართვა
Q65 – Q79	ძვალ-კუნთოვანი სისტემის თანდაყოლილი ანომალიები და დეფორმაციები	მართვა
S32	ნეკნ(ებ)ის, მკერდის ძვლის და ხერხემლის გულმკერდის ნაწილის მოტეხილობა	მართვა
M00-M25	ართროპათიები	მართვა
M30-M36	შემავრთებელი ქსოვილის სისტემური დაზიანებები	მართვა
M40-M54	დორსოპათიები	მართვა
Z47	ორთოპედიული მკურნალობის შემდგომი დახმარების სხვა სახეები	მართვა

5. სავალდებულო პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმ-ორთოპედ-ტრავმატოლოგს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:

ა.ა) რენტგენოგრაფია;

ა.ბ) მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია;

- ა.გ) კომპიუტერული ტომოგრაფია;
- ა.დ) კლინიკური ანალიზები;
- ა.ე) ბიოქიმიური ანალიზები;
- ა.ვ) კოაგულოგრამა;
- ა.ზ) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა;
- ა.თ) იმუნოლოგიური გამოკვლევა;
- ა.ი) მორფოლოგიური გამოკვლევა (ციტომორფოლოგია, ჰისტომორფოლოგია);
- ა.კ) დენსიტომეტრია.

ბ) ექიმ-ორთოპედ-ტრავმატოლოგს შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:

- ბ.ა) ჭრილობის პირველადი და მეორადი ქირურგიული დამუშავება;
- ბ.ბ) მოტეხილობის რეპოზიცია (დახურული წესით);
- ბ.გ) ჩონჩხოვანი დაჭიმვა (ყველა სეგმენტი);
- ბ.დ) მოტეხილობების გარეგანი ფიქსაცია;
- ბ.ე) თაბაშირის დადება;
- ბ.ვ) ორთეზების დადება;
- ბ.ზ) ფასციოტომია;
- ბ.თ) ოსტეოსინთეზი ყველა სეგმენტის (ფირფიტებით DCP, LCP, Polyaxial, Anatomical, DHS, ინტრამედულარი – მახლოკირებელი სისტემებით, ელასტიური ღეროებით, ოსტეოსინთეზი ვებერის ტიპის, სახსრების ჩაკეტვა, საკორექციო ოსტოტომია: ფიქსაციით, ძვლის გადანერგვით ან მის გარეშე, კომპრესიული-დისტრაქციული აპარატის დადება, ხერხემლის მალეების ტრანსპედიკულური ფიქსაცია, სახსარშიდა მოტეხილობების ოსტეოსინთეზი ართროსკოპიული კონტროლით);
- ბ.ი) ხერხემლის მალეების ტრანსპედიკულური ფიქსაცია;
- ბ.კ) ხერხემლის მალეების ბალონირება;
- ბ.ლ) ხერხემლის მალეების პროთეზირება;
- ბ.მ) მსხვილი და მცირე სახსრების ართროსკოპია;
- ბ.ნ) სახსრების იოგოვანი აპარატის რეკონსტრუქცია ღია;
- ბ.ო) მყესების რეკონსტრუქცია ღია (მაგ. აქილევსის მყესი და სხვ);
- ბ.პ) სახსარშიდა ინიექციები;
- ბ.ჟ) სახსრების ლავაჟი;
- ბ.რ) დაზიანებული კუნთების რეკონსტრუქცია;
- ბ.ს) კანის პლასტიკა (დერმატომით);
- ბ.ტ) მსხვილი და მცირე სახსრების ართროსკოპიული რეკონსტრუქცია (უცემენტო, ცემენტის გამოყენებით, ჰიბრიდული);
- ბ.უ) სკოლიოზის კორექცია (უკანა/ წინა მიდგომით);
- ბ.ფ) სასახსრე ხრტილის რეკონსტრუქცია (მოზაიკოპლასტიკა);
- ბ.ქ) აუტოძვლის აღება;
- ბ.ღ) ძვლების დეფექტების რეკონსტრუქცია ძვლის ჩანაცვლებით (ჰომო, აუტო ძვალი);

- ბ.ყ) ნავიგაციის გამოყენება ორთოპედიაში;
- ბ.შ) ყველა სემენტის სარევიზიო ენდოპროთეზირება;
- ბ.ჩ) შეუხორცებელი მოტეხილობების მკურნალობა;
- ბ.ც) ოსტეომიელიტის მკურნალობა;
- ბ.ძ) ჩარევები (მაგალითად, ჭრილობის მეორადი ქირურგიული დამუშავება, ძვლის სეკვესტრის რეზექცია, ანტიბიოტიკიანი ცემენტის იმპლანტირება და სხვ.), რომელიც უკავშირდება პოსტოპერაციული ინფექციების მართვას;
- ბ.წ) ძვლისა და რბილის ქსოვილების პათოლოგიური კერის ბიოფსია;
- ბ.ჭ) ძვლისა და რბილის ქსოვილების პათოლოგიური კერის ინტერკალარული რეზექცია, ჩანაცვლება პროთეზით;
- ბ.ხ) ძვლისა და რბილის ქსოვილების პათოლოგიური კერის რეზექცია;
- ბ.ჯ) ონკოპროთეზირება;
- ბ.ჰ) ძვლისა და რბილის ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეების რეზექცია ჯანსაღი ქსოვილების ფარგლებში;
- ბ.ჰ.1) კიდურების ამპუტაციები ყველა დონეზე (ტრავმის და კიდურების, ძვლის, სასახსრე ხრტილის და რბილი ქსოვილების სიმსივნეების დროს);
- ბ.ჰ.2) ამპუტირებული ტაკვის მომზადება პროთეზებისთვის;
- ბ.ჰ.3) ჩარევები (მაგალითად, ამპუტირებული კიდურის ტაკვის მომზადება, მოვლა და სხვ.), რომელიც უკავშირდება გარეგანი პროთეზების შერჩევა/ მართვას;
- ბ.ჰ.4) დენსიტომეტრია.